

Po

«ნესტლე»-ს მომწოდებლის კოდექსი

დეკემბერი, 2013



გაცემის ფუნქცია
კორპორატიული შესყიდვები

სამიზნე აუდიტორია
ნესტლეს მომწოდებლები და თანა-მწარმოებლები
ნესტლეს შესყიდვები

დამამტკიცებელი ორგანო
აღმასრულებელი საბჭო, დეკემბერი, 2013 წ.

საცავი
ნესტლეს ყველა სახის პრინციპი და პოლიტიკა, სტანდარტები და
გაიდლაინები შეგიძლიათ მოიძიოთ ცენტრის ონლაინ საცავში მისამართზე:
<http://intranet.nestle.com/nestledocs>
ნესტლეს მომწოდებლის კოდექსი შეგიძლიათ მოიძიოთ მისამართზე:
www.nestle.com/suppliers

საავტორო უფლებები და კონფიდენციალურობა
ყველა უფლება ეკუთვნის შპს ნესტეკს, ვევეი, შვეიცარია
© 2013, შპს ნესტეკი

დიზაინი
შპს ნესტეკი, კორპორატიული სტილი და დიზაინი
ვევეი, შვეიცარია

შესავალი სიტყვა «ნესტლე»-ს მომწოდებლის კოდექსისადმი

1. მიზანი

«ნესტლე»-ს მომწოდებლის კოდექსი მოიცავს მინიმალურ დაურღვეველ სტანდარტებს, რომელთა დაცვას და პატივისცემას ვთხოვთ ჩვენს მომწოდებლებს (შემდგომში «მომწოდებელს») და მათ სუბმომწოდებლებს კომპანია «ნესტლე»-სთან ერთობლივად განსახორციელებელი კომერციული საქმიანობის ფარგლებში. ეს დოკუმენტი საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს ჩვენს მიერ გაზიარებული საერთაშორისო სტანდარტების უწყვეტი დაცვა, როგორცაა: ეთგო-ს სახელმძღვანელო პრინციპები მრავალეროვანი საწარმოებისთვის, სამეწარმეო საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები გავროს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებების ასპექტში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ძირითადი კონვენციები და გავროს გლობალური ხელშეკრულების 10 პრინციპი, არამარტო ჩვენს მიერ პირადად განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში, არამედ ჯაჭვის ყველა ეტაპზე: დაწყებული მიწოდების არხის რგოლებიდან, ცალკეული ფერმერული მეურნეობებით და პლანტაციებით დამთავრებული. წინამდებარე კოდექსი აფართოებს კომპანია «ნესტლე»-ს კორპორაციული ბიზნესის პრინციპებს და საფუძვლად უდევს მომწოდებლების შეფასებისა და პასუხისმგებლობით არჩევის პროგრამას, რომელმაც საუბარია კარში «დაცვა».

2. მოცულობა

კოდექსში გადმოცემული სტანდარტები ასახავენ ჩვენს მოლოდინს მომწოდებლებისგან, რომლებთანაც მუშაობს კომპანია «ნესტლე», მათ შორის, მათი სათაო, შვილობილი ან აფილირებული კომპანიებისგან, აგრეთვე, სხვა მხარეებისგან, რომლებთანაც ისინი აწარმოებენ საქმეებს, მათ შორის, ყველა მათი თანამშრომლისგან (მუდმივი, დროებითი მუშაკების, საკონტრაქტო სააგენტოებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით მომუშავე თანამშრომლების და მიგრანტი მუშების ჩათვლით), ზედა დონის მომწოდებლების და მესამე პირებისგან. მომწოდებელი პასუხისმგებელია წინამდებარე კოდექსის გავრცელებაზე, გაცნობაზე და მისი დებულებების დაცვის საგულდაგულო შემოწმებაზე თანამშრომლების, აგენტების და სუბმომწოდებლების, მათ შორის, ფერმერების მიერ, თუ მათ ეს მიეკუთვნება.

3. დაცვა

კომპანია იმედოვნებს, რომ მომწოდებელი დაიცავს ყველა მოქმედ კანონს და წესს, კერძოდ, წინამდებარე დოკუმენტში გადმოცემულ ძირითად პრინციპებს, აგრეთვე, ექნება მისწრაფება ყველა საერთაშორისო სამრეწველო სტანდარტის და მუშაობის ყველაზე პროგრესული მეთოდების დაცვისადმი. გარდა ამისა, კომპანია «ნესტლე» იტოვებს მომწოდებლების შეფასებისა და პასუხისმგებლობით არჩევის პროგრამის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების მეშვეობით კოდექსის დებულებების დაცვის შემოწმების და მიღწეული შედეგების აუდიტის მოთხოვნებში ან მომწოდებლების შეფასებისა და პასუხისმგებლობით არჩევის პროგრამაში ჩართვის მოთხოვნის უფლებას.

4. უწყვეტი გაუმჯობესება

«ნესტლე» აღიარებს, რომ წინამდებარე კოდექსით დადგენილი სტანდარტებით განსაზღვრული დონის მიღწევა არის ეტაპობრივი პროცესი და მოუწოდებს მომწოდებლებს თავისი მუშაობის ხარისხის უწყვეტად ამაღლებისაკენ. გაუმჯობესების ან მცირე მიწათმოქმედების და ფერმერებისგან რესურსების უშუალოდ მიღების აუცილებლობის შემთხვევაში კომპანია «ნესტლე» დახმარებას გაუწევს მათ მუშაობის გამოყენებული მეთოდების უწყვეტი გაუმჯობესებისთვის აუცილებელი საკვანძო ეტაპების და სისტემების განსაზღვრაში. ამ მოთხოვნის დარღვევა უშუალოდ აისახება მომწოდებლის უფლებაზე აწარმოოს საქმიანობა კომპანია «ნესტლე»-სთან.

5. გამოყენება

წინამდებარე კოდექსის მოქმედების აღიარება «ნესტლე»-სთან ნებისმიერი მიწოდების ხელშეკრულების დადების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მიწოდებაზე შეკვეთის მიღებისას, რომელშიც არის მითითება წინამდებარე კოდექსზე, მომწოდებელი ამით თანხმდება, რომ მისი საქმიანობა ექცევა წინამდებარე კოდექსის დებულებების მოქმედების ქვეშ. წინამდებარე კოდექსი ან მისი მოთხოვნების დაცვის მტკიცებულება არ წარმოადგენს მომწოდებელთან გარე ბენეფიციარების უფლებების წარმოქმნის საფუძველს. წინამდებარე კოდექსში გადმოცემული სტანდარტები მოქმედებენ დამატებით, მაგრამ არა მომწოდებელს და «ნესტლე»-ს შორის დადებული რომელიმე იურიდიული შეთანხმების ან ხელშეკრულების ნაცვალად.

ნესტლეს „მომწოდებლის კოდექსის“ 4 ფუძემდებელი პრინციპი

1. ადამიანის უფლებების დაცვა.

ნესტლე მხარს უჭერს გაეროს მიერ დადგენილ ადამიანის უფლებების ჩარჩო და სახელმძღვანელო პრინციპებს და იმედოვნებს, რომ მომწოდებელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მათ შორის შრომით უფლებებს მთელი მისი საქმიანობის განმავლობაში. ადამიანის უფლებების დაცვის მინიმალური ჩამონათვალი მოყვანილია ქვევით:

გაერთიანების და კოლექტიური მოლაპარაკებების თავისუფლება.

მომწოდებელმა უნდა მიანიჭოს თავის თანამშრომლებს გაერთიანებისა და კოლექტიური ხელშკრულებების დადების უფლება ყველა მოქმედი კანონისა და წესების შესაბამისად.

იძულებითი შრომის აკრძალვა.

მომწოდებელი ვალდებული არც ერთ შემთხვევაში არ გამოიყენოს ან ნებისმიერი სხვა გზით არ ისარგებლოს და არ მიიღოს სარგებელი იძულებითი შრომიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის შესახებ N29 კონვენციის შესაბამისად, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ N105 კონვენციის შესაბამისად. იძულებითი შრომაში იგულისხმება მუშახელის რაიმე ფორმით ძალმომრეობით მორჩილება, როგორცაა ფიზიკური დასჯა, თვისუფლების აღკვეთა, ძალადობის მუქარა, როგორც დისციპლინის ან კონტროლის მეთოდი, მაგალითად, პირადობის მოწმობების, პასპორტების, სამსახური დაშვების ნებართვების, ფულადი სახსრების დაკავება-შენაღრუნება სამსახურში აყვანის პირობის სანაცვლოდ.

მომწოდებელი ვალდებულია აცნობოს ნესტლეს იმის თაობაზე, თუ ის იყენებს მუშა-მიგრანტებს და პატიმრების (კანონიერი გზით) შრომას, რათა კომპანიას (ნესტლეს) ჰქონდეს საშუალება შეისწავლოს მომწოდებელთან შენახული შესაბამისი დოკუმენტაცია.

დისკრიმინაციის არ არსებობა სამსახურში აყვანის დროს. მომწოდებელმა სამსახურში უნდა აიყვანოს მხოლოდ ის მუშაკები, ვისაც აქვთ მათ ობიექტებზე მუშაობის კანონიერი უფლება და პასუხისმგებლები არიან შეამოწმონ თანამშრომლების სამუშაოზე დასაშვებობის უფლებამოსილება შესაბამისი დოკუმენტაციის საშუალებით. ყველა სამუშაო უნდა იყოს ნებაყოფლობითი და დაქირავებულ მუშახელს უფლება უნდა ჰქონდეს დატოვოს სამსახური ან შეწყვიტოს მუშაობა განცხადების წარდგენის საფუძველზე გონივრულ ვადებში. ყველა სამუშაო შეძლებისდაგვარად უნდა იყოს შესრულებული ოფიციალურად აღიარებული შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, დამყარებული ქვეყნის კანონმდებლობასთან და საყოველთაო პრაქტიკასთან შესაბამისობაში.

ვალდებულებები აღებული მუშაკების მიმართ შრომითი თუ სოციალური უზრუნველყოფის ფარგლებში წარმოქმნილი მუდმივი შრომითი ურთიერთობებიდან, არ შეიძლება იყოს გაუქმებული მხოლოდ შრომითი ხელშკრულების, ქვეხელშკრულებისა ან სამუშაოს სახლში შესრულების შეთანხმების გამოყენებით, ასევე სასწავლო სქემების საშუალებით, სადაც არ არსებობს უნარების გაუმჯობესების რეალური განზრახვა ან რეგულარული დასაქმების უზრუნველყოფა. ასევე, არ უნდა მოხდეს ნებისმიერი ასეთი ვალდებულებების თავიდან აცილება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების გადამეტებულად გამოყენების საშუალებით.

დასაქმების სააგენტოების საშუალებით მუშაკების დაქირავების შემთხვევაში, მომწოდებელი ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის N181 კერძო დამქირავებელი სააგენტოების შესახებ კონვენციის თანახმად.

დასაქმების მინიმალური ასაკი

მომწოდებლის მიერ ბავშვის შრომის გამოყენება სასტიკად აკრძალულია საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის N138 მინიმალური ასაკის შესახებ კონვენციის თანახმად, ასევე N182 ბავშვის შრომის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრის შესახებ კონვენციის თანახმად. საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის მინიმალური ასაკის შესახებ N138 კონვენციაში აღნიშნულია, რომ 15 წელს ქვემოთ (ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებში 14 წელს ქვემოთ) არც ერთ ბავშვს არ აქვს უფლება იმუშაოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნებადართულია საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის ან ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად.

თუ მომწოდებელი იყენებს ახალგაზრდა მუშახელის შრომას, მან დემონსტრირება უნდა გააკეთოს, რომ ახალგაზრდა მუშახელის დაქირავება არ აყენებს მას გაუმართლებელი ფიზიკური რისკის ქვეშ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ, მენტალურ ან ემოციურ განვითარებას.

სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა.

- მომწოდებელი ვალდებულია თანამშრომლებს მოეპყრას პატივისცემით, კეთილსინდისიერად და ღირსებით.
- საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის №111 კონვენციის თანახმად, მომწოდებელმა არ უნდა განახორციელოს დისკრიმინაცია დაქირავებულის რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ასაკის, ფიზიკური შესაძლებლობების, წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური შეხედულების. პროფკავშირების წევრობის, დიანოსტიკის ტესტების შედეგების ან ოჯახური მდგომარეობის საფუძველზე.
- დაუმუშავებელია ნებისმიერი სახის ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამინება, მუქარა ან შევიწროება.
- მომწოდებელი ვალდებულია პატივს სცეს თავისი თანამშრომლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ყოველთვის როდესაც ის აგროვებს მათზე პირად ინფორმაციას ან იყენებს კონტროლის მეთოდებს მათ მიმართ.
- როდესაც მომწოდებელს შტატში აპყავს უსაფრთხოების სამსახური თავისი თანამშრომლების და ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მომწოდებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ უსაფრთხოების სამსახურმაც გაატაროს იგივე სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის სტანდარტები.

სამუშაო საათები და გამოსასვლელი დღეები

მომწოდებელმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ მისმა თანამშრომლებმა იმუშაონ ყველა იმ მოქმედი კანონებისა და აუცილებელი სამრეწველო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც ეხება სამუშაო საათების, ზეგანაკვეთური მუშაობის, დღესასწაულებისა და ორსულობის, მშობიარობის და მამობის შეგულებების რაოდენობას. ასეთი კანონების არარსებობის შემთხვევაში მომწოდებელმა არ უნდა მოითხოვოს სამუშაო კვირის განმავლობაში მუშაობა,

რომელიც აღემატება 60 საათს, თანამშრომლებს უნდა მიეცეს სულ მცირე ერთი გამოსასვლელი დღე ზედიზედ ექვსი სამუშაო დღის შემდეგ, ხოლო, ზეგანაკვეთური მუშაობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ანაზღაურდეს მომატებული ტარიფით.

ხელფასი და დანამატები

მომწოდებლის თანამშრომლებს უნდა მიეცეს ხელფასი და დანამატები არა ნაკლებ იმ ოდენობისა, რომელიც დადგენილია ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად ან სამრეწველო სტანდარტებით, იმისდა მიხედვით, თუ რომელი თანხაა უფრო მეტი, ასევე სავალდებულო კოლექტიური მოლაპარაკებებით, მათ შორის ისინი რომლებიც ეხება ზეგანაკვეთურ მუშაობას და დამატებითი ანაზღაურების სხვა სახეობებს. ნებისმიერ შემთხვევაში ხელფასი უნდა იყოს საკმარისი თანამშრომლებისა და ოფიციალურად მათ კმაყოფილე მყოფთა ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და იგი უნდა უზრუნველყოფდეს გარკვეული დისკრეციული შემოსავლის არსებობას. მომწოდებელმა არ უნდა გამოიყენოს რაიმე სახის დისკრიმინარული ან ხელფასიდან დაქვითვის სხვა სახეობები, ისევე, როგორც არ უნდა გამოიყენოს დისკრიმინაციის არანაირი ფორმა სამუშაოზე მიღებისას და ანაზღაურების ოდენის განსაზღვრისას.

2. უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

კომპანია „ნესტლე“ იმედოვნებს, რომ მომწოდებლის, ისევე როგორც თანამშრომლების საქმიანობისა და მართვის სისტემები, მიმართული იქნება პროფესიული ტრავმებისა და დაავადებების წარმოქმნის თავიდან აცილებისაკენ.

სამუშაო გარემო

მომწოდებელმა თავისი თანამშრომლებისათვის უნდა შექმნას ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და ხელშემწყობი სამუშაო პირობები. გარდა ჯეროვანად აღჭურვილი სამუშაო ადგილებისა, როგორც მინიმუმ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სასმელი წყალი, ჯეროვანი განათება, ტემპერატურული რეჟიმი, ვენტილაცია, მისაღები სანიტარული პირობები და აუცილებელი დამცავი საშუალებები. გარდა ამისა, საწარმოო ფართები უნდა იყოს დაპროექტებული და გამოყენებული სტანდარტების, კანონების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საცხოვრებელი პირობები და პირადი ცხოვრების პატივისცემა

მომწოდებლის მიერ საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფის შემთხვევაში, ის უნდა იყოს დაპროექტებული და გამოყენებული მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად, ასევე უნდა იყოს იზოლირებული ქარხნის ტერიტორიისგან და საწარმოო ზონისაგან. საერთო საცხოვრებლის ყველა შენობაში იყოს უზრუნველყოფილი სისუფთავე და უსაფრთხოება, ხოლო ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს დღე-ღამის ნებისმიერ დროს საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე შესვლის და გამოსვლის შესაძლებლობა. შენობაში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სუფთა ტუალეტები, სასმელი წყლის, საჭმლის მომზადების და შენახვის საშუალებათა ხელმისაწვდომობა. ასევე ყველა საერთო საცხოვრებელში ყველა თანამშრომლისთვის უნდა იყოს გათვალისწინებულ აუცილებელი პირადი სივრცე, ჯეროვანი გათბობა და ვენტილაცია, ასევე სუფთა საშაპე და სააბაზანო ოთახები.

მზადყოფნა საგანგებო მდგომარეობისადმი

მომწოდებელი მზად უნდა იყოს საგანგებო მდგომარეობისათვის, რაც მოიცავს თანამშრომლების

ინფორმირებას, ევაკუაციის პროცედურების არსებობას, საავარიო მდგომარეობის დროს მოქმედებების სწავლებას და ინსტრუქტაჟების ჩატარებას, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად შესაბამისი ნაკრებების, ხანძრის აღმოსაჩენი და ჩასაქრობი შესაბამისი მოწყობილობებისა და ჯეროვანად აღჭურვილი გასასვლელების არსებობას. მომწოდებელი რეგულარულად უნდა ატარებდეს თავისი თანამშრომლებისათვის საგანგებო მდგომარეობაში მოქმედების დაგეგმვის, რეაგირების, ასევე სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სწავლებებს.

პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება

ყველა პროდუქცია და მომსახურება, რომელსაც აწვდის ან უწევს მომწოდებელი, უნდა პასუხობდეს ხარისხისა და უსაფრთხოების აუცილებელ სტანდარტებს, რომლებიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით. კომერციული საქმიანობის წარმართვისას კომპანია „ნესტლესთან“ ერთად ან მისი სახით, მომწოდებელმა უნდა დაიცვას კომპანია „ნესტლეს“ ხარისხის მოთხოვნები.

3. ეკოლოგიური მდგრადობა

კომპანია „ნესტლე“ მოითხოვს თავისი მომწოდებლებისაგან ყველა მოქმედი სამართლებრივი ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვას და საქმიანობის ეკოლოგიური მაჩვენებლების უწყვეტი გაუმჯობესების მტკიცებულებებს.

ეკოლოგიური ნებართვები და ანგარიშგება

ანგარიშგების შედგენის დროს მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა იმ რეკომენდაციის მიღება, განახლება და დაცვა, რომელიც დადგენილია ეკოლოგიური ნებართვების მისაღებად და ნებისმიერ დროს რეგისტრაციის ძალაში დატოვების.

გარემოს მდგომარეობის მართვის სისტემა

მომწოდებელმა უნდა ასახოს დოკუმენტურად და დანერგოს გარემოს მდგომარეობის მართვის შესაბამისი სისტემა (რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტებზე, როგორებიცაა ისო 14001:2004), განკუთვნილი საკონტროლებლად, გამოსავლენად და გარემოზე მნიშვნელოვანწილად ზემოქმედების შესამცირებლად.

სახიფათო მასალები და პროდუქტების უსაფრთხოება

მომწოდებელმა უნდა გამოავლინოს ყველა სახიფათო მასალა, ქიმიკატები და ნივთიერებები, უზრუნველყოს მათი უსაფრთხო დამუშავება, გადაადგილება, შენახვა, გადამუშავება, განმეორებითი გამოყენება და უტილიზაცია. აუცილებელია ყველა მოქმედი კანონებისა და წესების მაკარი დაცვა, რომელიც დაკავშირებულია სახიფათო მასალებთან, ქიმიკატებთან და ნივთიერებებთან. მომწოდებელმა უნდა დაიცვას შეზღუდვა მასალებზე და პროდუქციის უსაფრთხოების მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია მოქმედი კანონებითა და წესებით. მომწოდებელმა უნდა იზრუნოს საკანძო თანამშრომლებისათვის პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების სწავლება და მათ მიერ პრაქტიკული მეთოდების შესწავლა.

რესურსების გამოყენების, გარემოს დაბინძურებისა და ნარჩენების მინიმიზაციის პრობლემა

მომწოდებელმა ოპტიმალურად უნდა გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები, მათ შორის ელექტროენერგია და წყალი. მომწოდებელმა უნდა დანერგოს და დასაბუთებულად აჩვენოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად და მყარი ნარჩენების, ჩამდინარე წყლების და ჰაერის დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მიღებული ზომები. გამოდგენის

ან გადაყრის წინ მომწოდებელმა ჯეროვანად უნდა დაახარისხოს და დაამუშაოს ჩამდინარე წყლები და მყარი ნარჩენები მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად.

4. პატიონება საქმიან ურთიერთობებში

კომპანია „ნესტლე“ მოითხოვს“ მომწოდებლისაგან ყველა იმ ქვეყნის მოქმედი ეროვნული კანონებისა და ვაჭრობის წესების დაცვას, რომლებშიც ახდენენ მიწოდებას, წარმოებას ან შეაქვთ „ნესტლეს“ პროდუქციის შემადგენლობაში შესაბამისი მასალები („მომხმარებლის ქვეყანა“). მომსახურების გაწევის შემთხვევებში გამოყენებულ უნდა იქნას ის მოთხოვნები, რომლებიც მოქმედებენ მომსახურების გაწევის ქვეყნის ტერიტორიაზე.

ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ

მომწოდებელმა არასოდეს, არც პირდაპირ და არც შუამავალთა მეშვეობით არ უნდა შესთავაზოს ან დაპირდეს რაიმე პირად სარგებელს ან არასათანადო უპირატესობას ბიზნესის მიღების ან შენარჩუნების მიზნით, ან რაიმე სხვა სარგებელის მისაღებად უცხო ორგანიზაციისაგან, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო. მომწოდებელმა არ უნდა მისცეს ან აიღოს ქრთამი, ორგანიზება გაუკეთოს ქრთამის მიღებას ან მიიღოს ისინი და არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს ან იწვევს მისი საქმიანი პარტნიორების მიერ მექრთამეობასთან ბრძოლის მოქმედი კანონებისა და წესების დარღვევას, მათ შორის აშშ-ს კანონის საზღვარგარეთ კორუფციის შესახებ და გაერთიანებული სამეფოს კანონის მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ.

საჩივრების განხილვის მექანიზმები

მომწოდებელმა სამუშაო პროცესში უნდა დანერგოს ისეთი სისტემები, რომლებიც ითვალისწინებენ საჩივრების ანონიმურ მიწოდებას, ანგარიშგების შედგენას და მათ მართვას. სპეციალურად დანიშნულმა თანამშრომელმა მუდმივად უნდა აკონტროლოს საჩივრების განხილვის მექანიზმი, აღრიცხოს წამოჭრილი საკითხები და მიიღოს შესაბამისი ზომები კონფიდენციალურობის საფუძველზე.

საქმის წარმოება

მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის გამჭვირვალობა და აქტუალობა, რომელიც აჩვენებს მასალებისა და მომსახურებების მიმართ გამოყენებული მოთხოვნების, სამთავრობო დადგენილებებისა და საწარმოო წესების დაცვას.

წარმოშობა

მომწოდებელს უნდა ჰქონდეს საშუალება წარმოადგინოს ინფორმაცია განხორციელებული მიწოდების, ყველა პოტენციური წყაროს თავდაპირველი წარმოშობის შესახებ (წარმოშობის ქვეყანაზე). კომპანია „ნესტლე“ იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მომწოდებელს წარმოადგინოს მომარაგების მთელი ჯაჭვი, წარმოშობის წყარომდეც კი, ზემოთაღნიშნული რგოლების მიერ, მიწოდების ჯაჭვის მოთხოვნების შესრულების შესაფასებლად.

ინტელექტუალური საკუთრება

მომწოდებელმა უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, საკუთარი საქმიანი პარტნიორების შესახებ კონფიდენციალური და კერძო ინფორმაციის დაცვისა და საიდუმლოდ შენახვისათვის და გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია მხოლოდ იმ მიზნებით, რომლებიც დამტკიცებულია ხელშეკრულებით. საქეიფარო ურთიერთობების შემთხვევებში კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა უნდა ხორციელდებოდეს კომპანია „ნესტლეს“ თანხმობით.

ინტერესთა კონფლიქტი

მოსალოდნელია, რომ მომწოდებელი შეატყობინებს „ნესტლეს“ ნებისმიერი მდგომარეობის შესახებ, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან ინტერესების კონფლიქტის ფორმებში და ინფორმაციას მიაწოდებს „ნესტლეს“, იმ შემთხვევაში, როდესაც „ნესტლეს“ რომელიმე თანამშრომელი ან სპეციალისტი, რომელიც „ნესტლე“-სთან თანამშრომლობს კონტრაქტით, წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს მომწოდებლის საწარმოსთან მიმართებაში ან გააჩნია რაიმე ეკონომიკური კავშირები მომწოდებელთან.

დამატებითი სტანდარტები

- გარდა „ნესტლეს“ მომწოდებლის კოდექსისა, მომწოდებელი ვალდებულია დაიცვას ყველა დამატებითი მოთხოვნა, რომლებიც მოქმედებენ მასალებთან და მომსახურებასთან მიმართებაში, რომლებიც უნდა იქნას მიწოდებული ან გაწეული, კერძოდ, ხელმძღვანელობის მოთხოვნები მომწოდებლების პასუხისმგებლობით არჩევისა და შეფასებისათვის, მაგალითად, მოთხოვნები ცხოველთა და მიწის უფლებების დაცვაზე.
- ფერმებიდან პირდაპირი მოწოდებების შემთხვევაში, კოდექსის დაცვის უზრუნველსაყოფად ფერმერმა უნდა მისილოს მოქმედ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მოთხოვნებს. „ნესტლეს“ პროგრამა სოფლის მეურნეობის, სატყეო და თევზსაჭერი პროდუქციის მომწოდებლების პასუხისმგებლობით შერჩევისა და შეფასების შესახებ, შეიცავს დამატებით რეკომენდაციებს მუშაობის ყველაზე საუკეთესო მეთოდების შესახებ, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაინერგოს „ნესტლეს“ სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მუშა ჯგუფების დახმარებით.

მომდევნო ნაბიჯები

I. დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

მომწოდებელმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია რეგულაციების, კანონების და კოდექსის ნებისმიერი სახის სავარაუდო დარღვევის შემთხვევების შესახებ. დარღვევების შესახებ ანგარიშგება ნესტლეს საკონტაქტო პირთან უნდა მოხდეს ან ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კონფიდენციალურად ქვემოთ მოცემული რომელიმე არხის გამოყენებით:

ვებგვერდი: www.nestle.com/tell-us
ცხელი ხაზი: ადგილობრივი სატელეფონო ნომრები ხელმისაწვდომია
www.nestle.com/tell-us
შვებიცარია: +41 800 56 14 22
წვდომის კოდი: 11021

II. მომწოდებლის დადასტურება (თუ მოთხოვნილია ნესტლეს შესყიდვების ორგანიზაციის მიერ)

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ:

- ჩვენ მივიღეთ და გავცანით წინამდებარე 2013 წლის ნესტლეს მომწოდებლის კოდექსის შინაარსს, გამოცემული ნესტლეს მიერ.
- ჩვენ გვაქვს ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის და რეგულაციების შესახებ.
- ჩვენ მივაწოდებთ ინფორმაციას ნესტლეს კოდექსის ნებისმიერი სახის დარღვევის შემთხვევების შესახებ,
- ჩვენ ვიმოქმედებთ ნესტლეს მომწოდებლის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე, ჩასწორებებისა და გაუმჯობესების გარეშე.
- ჩვენ მივაწოდებთ ინფორმაციას ჩვენს დასაქმებულებს/ქვეკონტრაქტორებს ნესტლეს მომწოდებლის კოდექსის შინაარსის შესახებ და ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ მათაც დაიცვან მასში შესულ დებულებები.

ჩვენ უფლებას ვაძლევთ ნესტლეს ან ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს ნესტლეს სახელით, ჩაატაროს აუდიტი წინასწარი შეტყობინების შემდეგ ან შეტყობინების გარეშე, ჩვენს ტერიტორიაზე და ჩვენი ქვეკონტრაქტორების საწარმოო შენობებში ნებისმიერ დროს, იმ მიზნით, რომ დადგინდეს შესაბამისობა ნესტლეს მომწოდებლის კოდექსის დებულებებთან.

კომპანიის სახელი:

სახელი და თანამდებობა

ხელმოწერა

კომპანიის შტამპი/ბეჭედი

საწარმოს რეგისტრაციის N / სახელმწიფო საიდენტიფიკაციო N / კოდი / კომპანიის N

თარიღი და ადგილი

დოკუმენტის ხელმოწერა უნდა მოხდეს მომწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ და უნდა მოხდეს მისი დაბრუნება ნესტლეს შესყიდვების ორგანიზაციაში.

